დოკუმენტი

ვენეციის კომისია საქართველოს ახალი კონსტიტუციის შესახებ

ვენეციის კომისიამ 19 ივნისს საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის პროექტზე საკუთარი მოსაზრება გამოაქვეყნა. კომისიამ, რომელსაც საქართველოს ხელისუფლებამ მიმართა საკონსტიტუციო ცვლილებებზე რეკომენდაციების მომზადების მიზნით, დოკუმენტი 16-17 ივნისს გამართულ სხდომაზე მიიღო.

დოკუმენტის თანახმად, შემოთავაზებული რეფორმა „დადებით შეფასებას იმსახურებს“, ვინაიდან „იგი ასრულებს საქართველოს პოლიტიკური სისტემის განვითარებას საპარლამენტო სისტემის მიმართულებით, რომელიც დაიწყო 2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმით“ და წარმოადგენს პოზიტიურ წინგადადგმულ ნაბიჯს „ქვეყნის კონსტიტუციური მოწყობის გასამყარებლად და გასაუმჯობესებლად, ეფუძნება, რა დემოკრატიის, სამართლის უზენაესობისა და ფუძემდებლური უფლებების დაცვის პრინციპებს“.

საარჩევნო სისტემა

მართალია კომისია მიესალმა შერეული საარჩევნო სისტემის პროპორციული სისტემით ჩანაცვლებას, მან ასევე განაცხადა, რომ „ეს წინგადადგმული პოზიტიური ნაბიჯი შეზღუდულია სამი მექანიზმით: საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებში 5-პროცენტიანი ბარიერის წესი შენარჩუნებულია; 5-პროცენტიან ბარიერს ქვემოთ გაუნაწილებელი ხმები გამარჯვებულ პარტიას გადაეცემა და საარჩევნო კოალიციები (პარტიების მიერ შექმნილი ბლოკები) გაუქმებულია“.

„მართალია, 5-პროცენტიანი ბარიერი სრულ შესაბამისობაშია ევროპულ სტანდარტებთან და როგორც ასეთი, კრიტიკას არ ექვემდებარება, მაგრამ ერთად აღებული, ეს სამივე მექანიზმი ზღუდავს პროპორციული სისტემის შედეგებს მცირე პარტიებისა და პლურალიზმის საზიანოდ და უფრო მეტად სცილდება სამართლიანი წარმომადგენლობის და საარჩევნო თანასწორობის პრინციპებს, ვიდრე ეს იქნებოდა გამართლებული სტაბილურობის უზრუნველყოფის საჭიროებიდან გამომდინარე“, - ნათქვამია დოკუმენტში.

ვენეციის კომისია იძლევა რეკომენდაციას, რომ გაუნაწილეელი მანდატების კონსტიტუციური კანონის პროექტით შემოთავაზებული

განაწილების სანაცვლოდ, განხილული იქნეს შემდეგი ალტერნატივები:

- მანდატების პროპორციული გადანაწილება ან ყველა პოლიტიკური პარტიისთვის, რომელმაც 5 პროცენტიანი ბარიერი გადალახა; ან
- იმ დაკარგული ხმების რაოდენობისთვის მაქსიმუმის დაწესება, რომელიც უნდა მიეცეს გამარჯვებულ პარტიას (ბონუსი
- ანდა ბარიერის დაწევა 2 ან 3 პროცენტამდე, ამ გზით პროპორციული სისტემა ასევე შეეხება მორჩენილი მანდატების განაწილებას.

შეზღუდვა გადასახადების ზრდაზე

ვენეციის კომისიის მოსაზრების თანახმად, გადასახადებზე რეფერენდუმის დანიშვნა „შედარებით სამართალში ძალიან იშვიათი მოვლენაა“ და ჩანს, რომ კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი ახდენს „წარმომადგენლობის გარეშე დაბეგვრის“ პრინციპის „რეფერენდუმის გარეშე დაბეგვრის“ პრინციპად ტრანსფორმაციას.

„ვენეციის კომისიის აზრით, უმჯობესი იქნება რომ თავდაპირველად, პარლამენტის გადასაწყვეტი იყოს ახალი გადასახადების შემოღება. პარლამენტის გადაწყვეტილება შეიძლება შემდეგ გადაეცეს ხალხს დასამტკიცებულად, ან არდასამტკიცებლად, თავად პარლამენტის, ან პრეზიდენტის მეშვეობით“.

პრეზიდენტი

ვენეციის კომისია მიესალმა გადაწყვეტილებას პრეზიდენტის არაპირდაპირი გზით არჩევის წესის შემოღების გადადებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ „მართალია არ არსებობს პრინციპული წინააღმდეგობა 2023 წლიდან პრეზიდენტის არაპირდაპირი არჩევნების შემთავაზებულ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით, პირველ რაუნდ(ებ)ში უნდა მოთხოვნილი იქნეს კვალიფიციური უმრავლესობა და იმ ღონისძიებებს, რომლებიც უკეთ უზრუნველყოფს პარლამენტში (და შესაბამისად საარჩევნო კოლეგიაში) პლურალიზმს, როგორებიცაა გათვალისწინებული წინა თავში მოცემულ რეკომენდაციაში გაუნაწილებელი მანდატების პროპორციულ გადანაწილებასთან ანდა ბარიერის დაწევასთან დაკავშირებით, კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება“.

„არაპირდაპირ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას შედეგად არ უნდა მოჰყვეს მუდმივად და ექსკლუზიურად საპარლამენტო უმრავლესობის მიერ წარდგენილი კანდიდატის პრეზიდენტად არჩევა“.

სასამართლო სისტემა

ვენეციის კომისიის რეკომენდაციით, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები უვადოდ უნდა დაინიშნენ თანამდებობებზე (ნაცვლად შემოთავაზებული 10-წლიანი ვადისა) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ან პრეზიდენტის მიერ უმაღლესი საბჭოს წარდგინებით, და არა პარლამენტის მიერ (იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით), როგორც ეს შემოთავაზებულ პროექტშია.

ვენეციის კომისია ასევე იძლევა რეკომენდაციას, რომ პარლამენტის კვალიფიციური უმრავლესობის მიერ იქნას არჩეული მთავარი პროკურორი, საკონსტიტუციო სასამართლოს სამი მოსამართლე და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები, ნაცვლად სრული შემადგენლობის უმრავლესობისა, როგორც შემოთავაზებული პროექტში ითვალისწინებს.

ვენეციის კომისია იმეორებს თავის ადრინდელ რეკომენდაციას, მოსამართლეთა სამწლიანი გამოსაცდელი ვადით გამწესების თაობაზე შემოთავაზებული დებულების გაუქმების შესახებ და მიესალმება პარლამენტის თავმჯდომარის წინადადებას, რომ გამოსაცდელი ვადა გამოყენებული იქნეს მხოლოდ 2025 წლამდე.

სახალხო დამცველი

ვენეციის კომისია მიესალმა იმ დებულებას, რომელიც სახალხო დამცველის ხელახლა არჩევას კრძალავს და განაცხადა, რომ ეს აკრძალვა „მიმართულია ინსტიტუტის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისკენ და ყველანაირი რისკის აღსაკვეთად, რომ იმ პირის დამოუკიდებელი მოქმედება, რომელსაც თანამდებობა უკავია, შეიძლება ეჭვს ქვეშ იყოს დაყენებული ხელახალი არჩევის მოსაზრებებით“.

დოკუმენტი აცხადებს, რომ სახალხო დამცველის უფლებამოსილების ხუთწლიანი ვადა „ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაშია“, თუმცა იქვე დასძენს, რომ „ერთი და იმავე პირის არჩევის ახლად შემოღებული აკრძალვიდან გამომდინარე, უკეთესი იქნებოდა, რომ სახალხო დამცველმა უფრო მეტი ვადით იმსახუროს“.